საქართველო მორიგი საპრეზიდენტო არჩევნებისთვის ემზადება



27 ოქტომბერს საქართველოში მორიგი საპრეზიდენტო არჩევნები ჩატარდება. ამასთან დაკავშირებით 37 ქვეყანაში საარჩევნო პუნქტები იმუშავებს.
ეს საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის პირველმა მოადგილემ დავით ზალქალიანმა დღევანდელ ბრიფინგზე განაცხადა.
მისი თქმით, რუსეთში მცხოვრები ქართველები კი ახალი პრეზიდენტის არჩევაში მონაწილეობას ვერ მიიღებენ: "საქართველოსა და რუსეთს შორის დიპლომატიური ურთიერთობების დარღვეის გამო საპრეზიდენტო არჩევნების მსვლელობისას ამ ქვეყანაში საარჩევნო პუნქტები არ გაიხსნება".